




ქ.თბილისი, ვ.ჯორბენაძის ქუჩა №11-13-ში განთავსებული ნაგებობის (ახლად აშენებული) და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურულ-ანალიტიკური კვლევა


დამკვეთი:
შ.პ.ს. "მეტეხის წარბი"
დირექტორი – ბ.პაიჭაძე

შემსრულებელი:
არქიტექტორი ალა პროზოროვა



თბილისი
05. 2017

ქ.თბილისი,
ვ.ჯორბენაძის ქუჩა №11-13-ში განთავსებული ნაგებობის
(ახლად აშენებული)
და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურულ-ანალიტიკური კვლევა





საკვლევი ობიექტი – **ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩა №11-13** – ახალ აშენებული სასტუმროს შენობა, რომელიც მდებარეობს **ისნის ადმინისტრაციულ რაიონში, ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების დაცვის ზონის საზღვრებში** *(ზონა 01, სექტორი 17, კვარტალი 01, ნაკვეთი 017. 028 , მესაკუთრე – შპს "მეტეხის წარბი", დირექტორები – მ.შაოშვილი, ბ.პაიჭაძე).* სასტუმროს შენობა აშენებულია ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. წარმოადგენს სწორკუთხა გეგმარების შენობას, რომელსაც გააჩნია ორი „საპარადო ფასადი" – 3 სართულიანია ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან და 5 სართულიანია (3 ჩვეულებრივი სართული და 2 „ცოკოლის", საყრდენ კედელში) მდინარე მტკვრის მაღალი კლდის ნაპირის მხრიდან – ე.წ. „მეტეხის წარბი". საკვლევი შენობის გვერდითა კედლები ეკვრიან მეზობელ შენობებს - №9-ა და №15.



ფოტო 2017 წ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი შენობის აშენებამდე (2009 წლამდე), მის ადგილზე მდებარეობდა საცხოვრებელი შენობა, რომელიც თანახმად 2005 წელს ჩატარებული თბილისის უძრავი ძეგლების ინვენტარიზაციისა, შეტანილი იქნა არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში (*კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, ნაწილი 8, რიგითი № 5269, საღრიცხვო ბარათის № 010503229, ბრძანება №3/133, 30.03.2006 და ბრძანება №3/181, 01.10.2007).*

ამ შენობას გეგმარებაში ქონდა «П»-ს სახის ფორმა, რომლის შემაერთებელი თავი გამოდიოდა ჯორბენაძის ქუჩის მხარეს, ხოლო გვერდების (ფლიგელების) მხარე, პატარა შიდა ეზოთი, მდინარის კლდოვანი ნაპირის მხარეს. ქუჩის მხრიდან ის წარმოადგენდა ნახევარ სართულს (ფანჯრის რაფა ქუჩის სავალი ნაწილის დონეზე დაბლა მდებარეობდა), ხოლო მდინარის ნაპირის მხრიდან 1 და 2 სართულს, რომელიც აშენებული იყო ნაწილობრივ აგურის საყრდენი კედლის ნარჩენებზე, ნაწილობრივ კლდეზე (იხ. 2005 წ. ფოტო). ქუჩის მხრიდან ფასადზე იყო არქიტექტურული დეკორის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი – სახურავქვეშა ზოლური კარნიზის ნაწილი. შიდა ეზოს მხრიდან შენარჩუნებული იყო ხის

აივნების და შუშაბანდების უბრალო ელემენტების რამდენიმე ფრაგმენტი. შენობის ფასადებს შიდა ეზოს მხრიდან, რაიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალი ან ელემენტი არ გააჩნდა.




საკვლევი ძველი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის პროცესი ფოტო 2010 წ.

ამ შენობის დემონტაჟის პროცესის ფოტოსურათებიდან ჩანს, რომ ძველ შენობას არ გააჩნდა თავისი, გვერდითა საყრდენი კედლები და ფასადის კედლები „ჩაშენებული“ იყო მეზობელ, მომიჯნავე №9-ა და №15 შენობებს შორის. ძველი საკვლევი შენობის სახურავი ეყრდნობოდა ფასადის (წინა და უკანა) მზიდ კედლებს და ნაწილობრივ მეზობელი, მომიჯნავე სახლების კედლებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთადერთი არგუმენტი არქიტექტურული ძეგლის სტატუსისა იყო შენობის ადგილმდებარეობა და მისი სხვა ინდივიდუალური ცოკოლ-საყრდენ კედლებიანი, შენობა-ძეგლების მეზობლად, ერთიან მწკრივში ყოფნა.

ფოტო 2005 წ.




ხედი მარჯვენა სანაპიროდან “მეტეხის წარბზე” ხედი ვ. ჯორბენაძის ქუჩიდან


2009 წელს, ყველა საჭირო წინა საპროექტო დოკუმენტაციის, მათ შორის ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური კვლევის *(შემსრულებელი მ. მახარაშვილი, კონსულტანტი ჯ. ბაბუნაშვილი)* საფუძველზე, შესრულებული იქნა ჯორბენაძის ქუჩა №11-13 ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის პროექტი *(არქიტექტორები დ. ბაირამაშვილი და თ. დურმიშიძე)*. პროექტი განხილული იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ *(ოქმი №12, 26 მარტი 2009 წ.)*, რომელმაც მისცა დადებითი შეფასება. თბილისის არქიტექტურული სამსახურის 2009 წლის 6 მაისის №01/535 ბრძანებით, პროექტი

მოწონებულია და განკარგულება გაცემულია უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ. რის საფუძველზეც დამკვეთ რ.შაოშვილის სახელზე, გაიცა №6/527-1 სანებართვო მოწმობა. თბილისის არქიტექტურული სამსახურის 2011 წლის 27 ოქტომბრის №4375 ბრძანებით მოხდა მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანა, კერძოდ რ. შაოშვილი, როგორც დამკვეთი შეიცვალა შ.პ.ს. "მეტეხის წარბი"-ით *(დირექტორი ბ. პაიჭაძე).* შემდგომში, 2015 წლის ბოლომდე, რამდენჯერმე მოხდა საამშენებლო ნებართვის გაგრძელება და პროექტის კორექტირება, ყველა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გაცემით თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიერ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის 2015 წლის 28 დეკემბრის №2364030 ბრძანებით მოხდა უკანასკნელი შეთანხმებული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობის დამთავრების ვადის განსაზღვრა 2017 წლის 30 ივლისით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე *(2015 წლის სხდომის ოქმი №34).*

წარმოდგენილი კვლევა შესრულებულია ახალი შენობის გარეგანი არსის შეფასებისათვის - უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქთმშენებლობის სტრუქტურის ასპექტში და, ასევე, ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან შენობების მწკრივის განშლის ასპექტში (ახლო თვალსაწიერიდან) და მდინარე მტკვრის მაღალი კლდოვანი ნაპირის მხრიდან შენობების მწკრივის განშლის კონტურის ასპექტში (შორი თვალსაწიერი, რომლიდანაც ყველაზე ახლოა მტკვრის მარჯვენა სანაპირო).

საკვლევი უბნის და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების ისტორიული ასპექტი შესწავლილი და აღწერილი იქნა 2009 წლის ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაში, რის შედეგადაც ორივე კვლევა განხილული უნდა იქნეს ერთობლივად.

სანამ ვიტყვით, თუ როგორ ერწყმის და ეწერება დღეს ახლად აშენებული ჩვენი საკვლევი შენობა გარშემო განაშენიანებას, სავალდებულოა აღინიშნოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, ე.წ. "მეტეხის წარბის" განაშენიანების განვითარების ზოგიერთი ტენდენცია.



არქივის ფოტო, XIX ს. ბოლო

XIX საუკუნის ბოლოს საარქივო ფოტოსურათებში, სადაც დაფიქსირებულია "მეტეხის წარბის" განაშენიანების განაპირა მწკრივის შენობები, კარგად ჩანს, რომ:

- დაწყებული მეტეხის ციხე-სიმაგრიდან ყველა შენობას გააჩნია თავისი “ინდივიდუალური” ცოკოლის საყრდენი კედელი, რაზეც შენდებოდა ან თვით შენობა, ან ღია ტერასები. თითოეული ეს ცოკოლი განსხვავდება მეზობლისაგან ზომით, კონფიგურაციით, მასალით, წყობის სტილით და ღიობებით. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ფოტოსურათებში “სერიოზული”, კაპიტალური ცოკოლის საყრდენი კედლები ჩანს მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთზე - მეტეხის ციხე-სიმაგრიდან №9-ა შენობამდე. შემდეგ კი (მათ შორის ჩვენ საკვლევ ნაკვეთზე ყოფილი შენობის ქვეშ) ცოკოლის საყრდენი კედლები აშენებულია “არასერიოზულად” - ხშირად ეს პატარა, ქაოტიური და სპონტანური შევსებაა კლდის მახვილი კონტურებისა, ხშირად კი ხის კოჭებით და ბოძებით გაკეთებული საყრდენების სახითაა;

არქივის ფოტო, XIX ს. ბოლო



- მეტეხის ციხე-სიმაგრის მოცულობების შემდეგ მონაკვეთზე, №9-ა შენობა წარმოადგენს ყველაზე მასიურს და დიდს. ამ შენობის მარჯვნივ, საცხოვრებელი განაშენიანების მასშტაბი შედარებით მცირეა (მათ შორის ჩვენ საკვლევ ნაკვეთზე ყოფილი შენობაც), სახლები შენდებოდა აშკარად სპონტანურად, ქაოტიური გეგმარებითი კონტურით, ჩანს სხვადასხვა დროის მინაშენები და დანაშენები – აქ აშკარად ცხოვრობდა მოსახლეობის უფრო ღარიბი ნაწილი;

- როგორც წესი, მდინარის კლდოვანი ნაპირის მხრიდან, საცხოვრებელი შენობების ფასადების მთელი ფრონტი “დაფარული” იყო კონსოლური, ღია ხის აივნებით. აქეთ იყო ორიენტირებული ღიობების უმრავლესობა (სწორედ აქედან იშლება ნარიყალას და აბანოთუბანის პანორამა). თუმცა ამ მხარესკენვე ხდებოდა შიდა სამეურნეო კომუნიკაციების გადასაღვრელების მოწყობა;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალიწინებით, რომ ქალაქის ყველა ცნობილ ისტორიულ რუკაზე “მეტეხის წარბის” მთელი გაყოლება აღინიშნებოდა საცხოვრებელი განაშენიანების ხაზად (რამდენიმე საკულტო ნაგებობით) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური აღმავლობის დროს ქალაქში, მტკვრის მაღალი კლდოვანი ნაპირის კიდეში, მდებარე ნაკვეთებს ძველი შენობებით, თანდათან ყიდულობდნენ ქალაქის უფრო მდიდარი მაცხოვრებლები – მაგრამ შესაძლებლობისდა მიხედვით მეტეხის ტაძართან ახლოს. დღევანდელი ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან დღემდე შემონახული ამ შენობების ფასადების არქიტექტურული სტილით თუ ვიმსჯელებთ - ყველა ეს შედარებით “მდიდარი” შენობა შენდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან – XX საუკუნის დასაწყისში. აქედან გამომდინარე ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე მათ ადგილზე (კლდის მარჯვენა ნაწილის ანალოგიურად) იყო ქაოტურად აშენებული პატარა

მასშტაბის შენობები. აქვე სავალდებულოა აღინიშნოს, რომ შენობები, რომელიც განთავსებულია ჯორბენაძის ქუჩის, მეტეხის ციხე-სიმაგრიდან №9-ა სახლამდე მონაკვეთში, მთელი XX საუკუნის მანძილზე რამდენჯერმე იქნა რეკონსტრუირებული (თუნდაც - გამაგრებული). აქედან გამოდის, რომ კლდის ზედა კონტურის გარკვეული გასწორების (მათ შორის ახალი ცოკოლის საყრდენი კედლების მოწყობის ხარჯზე), განაშენიანების მასშტაბის გარკვეული გაზრდის და მშენებლობის დროისთვის ახალი მოდური არქიტექტურული სტილების შემოტანის ტენდენცია – ისევე დამახასიათებელი საკვლევი უბნისათვის, როგორც ძველი ქალაქის სხვა ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბნებისათვის.

ფოტო 2017 წ.



ხედი მარჯვენა სანაპიროდან

დღესაც სწორედ ეს ტენდენცია აღინიშნება "მეტეხის წარბის" განაშენიანების მთელ ხაზზე – ძველი ქაოტური განაშენიანება, ხშირად ძლიერ ავარიული, ყიდულობენ ახალი მფლობელები. ძველი შენობების ადგილზე ან შენდება შედარებით მსხვილი მასშტაბის ახალი შენობები, თანამედროვე არქიტექტურული მიმართულებების გავლენით (მაგალითად №17 და №19 შენობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №17 შენობას ასევე გააჩნდა არქიტექტურული ძეგლის სტატუსი), ან იზრდება არსებული ძველი შენობების მოცულობა დაშენებება-მიშენების ხარჯზე, შენობის გამაგრების და რეაბილიტაციის მეთოდით, არქიტექტურიული ელემენტების ვარიაციებით, რომლებიც შემორჩენილია XIX საუკუნის ბოლოდან - XX საუკუნის დასაწყისიდან (მაგ. №9-ა და №15 შენობები).


განაშენიანების დღევანდელი რეკონსტრუქცია განსხვავდება ძველი გადაკეთებისაგან მხოლოდ იმით, რომ მას საცხოვრებელ ფუნქციასთან ერთად, ეძლევა ახალი საზოგადოებრივი და კომერციული ფუნქცია (სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები, მუზეუმები და სხვა). ასე, მაგალითად, №9-ა შენობას, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე შედარებით კარგი ფიზიკური მდგომარეობით (გარედან პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე), 2002-2004 წლებში ჩაუტარდა გამაგრებითი და რეკონსტრუქციის სამუშაოები, მასში არქიტექტორ ვიქტორ ჯორბენაძის სახლ-მუზეუმის მოსაწყობად. მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული, ჩვენამდე მოღწეული და ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ფოტოსურათებზე დაფიქსირებული შენობის არსი. მაგრამ ბოლო წლების მანძილზე სახლი საცხოვრებელი ფუნქციით გაქირავდა, რის გამოც შენობას კვლავ ჩაუტარდა რეკონსტრუქციის სამუშაოები, შედეგად მასზე გაჩნდა ახალი ელემენტები – მდინარის მხრიდან ორი დიდი მეზონინის ფორმის ხის აივანი და ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან პოლიკარბონატის გრძელი თალარი ღია სახურავის ტერასაზე (არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასეთი გადახურვა წარმოადგენს აბსოლუტურად უცხო ელემენტს გარშემო განაშენიანებისათვის).

ფოტო 2009 წ.



ფოტო 2009 წ

№15 შენობა ასევე XIX საუკუნის ბოლოდან მოვიდა ჩვენამდე გარკვეული ცვლილებებით. თავდაპირველად ეს იყო «Г»-ტიპის გეგმარების, 2-3 სართულიანი შენობა, მდინარის მხრიდან ფასადის მთელ კონტურზე ღია აივნებით. XX საუკუნის პირველ ნახევარში, შენობის ქვეშ მოეწყო ცოკოლი-საყრდენი კედელი (ისრული თაღის ფორმის დიდი ღიობით) და დაშენდა ერთი სართული (მე-3-4); მოგვიანებით შენობის მოცულობა გაზრდილი იქნა და ის «Г»-ტიპის გეგმარებიდან გადაიქცა სწორკუთხა გეგმარებად, გაიზარდა ბოლო მე-4 სართული ღია სახურავიანი ტერასის ხარჯზე; მდინარის მხრიდან, ფასადის მთელ სიბრტყეზე, თითქმის ყველა ღია აივანი გადაიქცა შუშაბანდად. უკანასკნელ წლებში აქაც ასევე ჩატარებული იქნა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ადრინდელი ფასადი-შუშაბანდის სიბრტყე გადაიქცა კაპიტალურ კედლად (ცოკოლი-საყრდენი კედლის ერთიან სიბრტყეში) და ამ ახალი კაპიტალური კედლის მთელ სიბრტყეზე მიშენებული იქნა სიმეტრიული კომპოზიციის, ახალი ხის აივნები (შუაში ღია და პატარა შუშაბანდებით გვერდებზე). ამრიგად შენობა მნიშვნელოვნად შეიცვალა “მეტეხის წარბის” მხრიდან როგორც მოცულობით, ასევე გარე იერსახით.



არქივის ფოტო, XIX ს. ბოლო


ჩვენი საკვლევი ახალი სასტუმროს შენობის ადგილზე, ადრე მდგარმა შენობამ, XIX საუკუნის ბოლოდან 2009 წელს დემონტაჟამდე პერიოდში, თუ ვიმსჯელებთ ფოტოსურათებით მდინარის მხრიდან, ასევე განიცადა ზოგიერთი ცვლილება. მაგრამ ზემოთ აღწერილი შენობებიდან განსხვავებით ამ ცვლილებებს მიყავდათ შენობა უფრო დეგრადაციისაკენ. თავდაპირველად ეს შენობა, ისევე როგორც №15 შენობა, იყო «Г»-ფორმის გეგმარების (ორივე სახლი ეკვროდა ერთმანეთს მოკლე მონაკვეთებით ქუჩის მხრიდან, მაგრამ მდინარის მხრიდან №15 სახლის ფასადი უფრო იყო გამოწეული). მდინარის მხრიდან №11-13 ორსართულიანი შენობა იყო მთლიანად შემორტყმული ღია ხის აივნებით, რომელიც ეყრდნობოდა არასწორი ფორმის ცოკოლ-საყრდენ კედელს, მეზობელ №15 სახლზე მიკრული ღია მომრგვალო ტერასით. ტერასას გააჩნდა ინდივიდუალური ხის მოაჯირი, აივნისგან განსხვავებული. ამ ტერასის დონის ქვევით, №15 შენობასა და №11-13 შენობის ცოკოლის კედელს შორის იყო ხის პატარა ხიდი, ხისავე საყრდენ-ნივნივებზე. მოგვიანებით, როცა №15 შენობის ქვეშ მოწყობილი იქნა ცოკოლი-საყრდენი კედელი – იქ, სადაც ადრე იყო ხიდი, კლდეზე მოეწყო კიდე ერთი აგურის ცოკოლი-საყრდენი კედელი, რის შედეგადაც დაიკარგა საკმაოდ საინტერესო ელემენტები – ხიდი და ღია მომრგვალებული ტერასა თავისი მოაჯირით. თუმცა თუ ვიმსჯელებთ გვიანდელი ფოტოსურათებით, ჩანს, რომ ფლიგელის ქვეშ თავდაპირველი ცოკოლის კედელი და ხიდის ადგილას მოწყობილი გვიანდელი ცოკოლის კედელი შესრულებული იყო უხარისხოდ, რის გამოც დროთა განმავლობაში თითქმის მთლიანად დაინგრა – რამაც შექმნა მთელი სახლისათვის ავარიული სიტუაცია. შენობის ფლიგელის ნაწილი («Г»-ტიპის გეგმარების სახლის გრძელი მხარე) ჩამოიშალა ადრინდელ ცოკოლი-საყრდენ კედელთან და ღია ხის აივნებთან ერთად (XIX საუკუნის ფოტოსურათზე კარგად ჩანს, რომ ეს ფლიგელი გამოდიოდა წინ, მდინარის მხარეს, მეზობელი №9-ა შენობის 2 სართულიან ფლიგელთან შედარებით). მოგვიანებით კედლის ეს ნაწილი დარჩა "შემოკლებული", ხოლო მოტეხილ გვერდზე აშენდა შუშაბანდი.

უფრო გვიან მასზე ქაოტურად მიშენდა პატარა აივნები, სამეურნეო სათავსოები. მდინარის მხრიდან სახურავმა დაკარგა თავისი თავდაპირველი კონფიგურაცია. აი მეზობელი №15 შენობის გვიანდელი შუშაბანდები კი "გაფართოებული" იქნა, საკვლევი შენობის შიდა პატარა ეზოს ტერიტორიის მხრიდან წვრილი მინაშენის ხარჯზე – რის გამოც ეს პატარა ეზო კიდევ უფრო შემცირდა. შედეგად №11-13 შენობამ მდინარის მხრიდან, რომელიც ჩანს XIX საუკუნის ფოტოსურათზე, 2009 წლისათვის მთლიანად დაკარგა თავისი თავდაპირველი სახე და ქონდა ნახევრად დანგრეული ბარაკის შესახედაობა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერდება ასევე საინჟინრო ქსელების უაღრესად ავარიული მდგომარეობა და ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან სახლის ძალიან დაბალი, არქიტექტურული დეკორის არ მქონე ფასადი.

ფოტო 2009 წ



ქაოტური ცოკოლის კედლები



№11-13 ეზო მდინარის მხრიდან

გამომდინარე ყოველივე ზემო ანიშნულიდან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ჩვენი საკვლევი ახალი სასტუმროს მოცულობის გაჩენა, ძველი საცხოვრებელი სახლის ადგილზე, წარმოადგენს ე.წ. "მეტეხის წარბის" განაშენიანების განვითარების ბუნებრივ პროცესს, როცა ამ უბნის პრესტიჟულობა იზრდება ბოლო წლების მანძილზე. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საკვლევი შენობის საერთო არქიტექტურული სახის აგებისათვის ისეთი მეთოდებისა და ელემენტების გამოყენება, რომლებიც იქნა გამოყენებული პროექტის ავტორების მიერ:

- დადებითია ის, რომ შენობის სიმაღლე გარკვეულწილად მაღალია მეზობელ შენობებთან შედარებით, მაგრამ არ გამოირჩევა მათგან დიდად, რაც დამახასიათებელია განაშენიანების ტეხილი ზედა კონტურისათვის, მდინარის მხრიდან (განსხვავებით სხვა უბნის ქუჩების სისტემური განაშენიანებისათვის, როცა იცავდნენ ან რელიეფზე ზევით ამავალ შენობების საფეხუროვანი ფასადების პრინციპს, ან მცირე დახრის მქონე ქუჩის გასწვრივ ერთი სიმაღლის ფასადების და თითქმის ერთნაირი სართულიანობის პრინციპს). როგორც ჩანს, ეს არის ანაბეჭდი მდინარის მაღალი კლდის თავდაპირველი კონტურის ტეხილი ხაზის გამეორებისა;







ფოტო 2017 წ

ხედები ვ. ჯორბენაძის ქუჩიდან

- ასევე დადებითია ის, რომ მდინარის მხრიდან ფასადი არასიმეტრიული კომპოზიციისაა და ფასადზე დაკიდულია კონსოლური ხის აივნები – რაც დამახასიათებელია სანაპიროს ამ მხარის საცხოვრებელი განაშენიანებისათვის. ქუჩის მხრის ფასადისაგან განსხვავებით, სადაც უკანასკნელი 100 წლის მანძილზე აქტიურად იყენებენ შენობების ფასადებზე ეკლექტიკურ თემას, ევროპული არქიტექტურული სტილების გავლენით (რომელთათვის სიმეტრია საკმაოდ ტიპიურია). ამიტომ დადებითია ქუჩის მხრიდან ფასადის მოპირკეთება ტრადიციული ძველი ე.წ. ქართული აგურით, ფაქტურული წყობით (როცა ფასადის და სხვა სიბრტყეების დეკორატიული ელემენტები შესრულებულია იმავე აგურით – პილასტრების რუსტოვკა, ზღუდარები, კარნიზები და სახურავის ფიგურული ფრონტონი). ქვედა სართულის თაღოვანი ღიობების რიგის სეგმენტური ზღუდრები, ასევე დამახასიათებელია ამ უბნის ძველი განაშენიანებისათვის. ტრადიციული ევროპული სტილის მოტივები გამოყენებულია მოკრძალებული დოზით, ხოლო ფანჯრის ფართო ღიობები მიუთითებს, რომ შენობა თანამედროვეა;

- ასევე დადებითია ახალი შენობის ბრტყელი სახურავი-ტერასა (ბანი), რადგან თითქმის XIX საუკუნის შუახნებამდე სწორედ ასეთი ტიპის სახურავი იყო დამახასიათებელი ძველი ქალაქისათვის – სანამ არ შემოვიდა მოდაში ევროპული არქიტექტურული სტილები;

ფოტო 2017 წ



საკლევი შენობის ბანი (ტერასა ბრტყელ სახურავზე)

- მდინარის მხრიდან, შენობის ქვეშ მაღალი საყრდენი-ცოკოლის კედელი, ფაქტობრივად შენობის ფასადის კედელია ,რომლის უკან ინტერიერის ფართი გამოყენებულია, ხოლო თვითონ კედელი გამორჩეულია თავისი ღიობებით, ყველა სხვა მეზობელი კედლებისაგან – ასევე შეიძლება ჩაითვალოს დადებით ელემენტად. შეიძლება კამათი ამ კედელზე ფანჯრების ღიობების გადაჭარბებულ აქტივობაზე, თუმცა ეს ფაქტორი სუბიექტურია (იმდენად რამდენადაც, ინტერიერში მაგალითად შეიძლება დარაბის ან ჟალუზის გამოყენება);





ფოტო 2017 წ

საკლევი შენობის ინტერიერი

შუქფარანი-ჭა

სადრენაჟო დერეფანი (ე.წ.”მაცივარი”)

- ახალი შენობის პლიუსად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტი, რომელიც ჩანს მხოლოდ ინტერიერში და რომელიც დამახასიათებელია ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლებისათვის. ეს არის სინათლის ფანარი-ჭა, ხრახნული კიბის თავზე სახურავში და ვიწრო სადრენაჟო დერეფანი ქუჩასა და ფუნდამენტის კაპიტალურ კედელს შორის, ფანჯარა-ჭებით ტროტუარის სიბრტყეში. ასეთი დერეფნები ხშირად გამოიყენებოდა, ქუჩის დონის ქვევით მდებარე შენობის კედლების გასანიავებლად, ეძახდნენ “მაცივრებს”, რამდენადაც იყენებდნენ პროდუქტების შესანახად.

თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უცნაურად გამოიყურება №15 შენობის მხრიდან, საკვლევი შენობის ზედა სახურავის ტერასის ღობის კედელი – ის არაბუნებრივად მაღალია (ჩვეულებრივ ასეთი კედლები არ აღემატება 1 მეტრს და წარმოადგენს ტერასის ბუნებრივ მოაჯირს) და ნამეტანად აქტიურია, “მეტეხის წარბის” საერთო განაშენიანების კონტურისათვის. თუ ამ კედელს დაცვის დანიშნულება აქვს, ორ მეზობელ სახლს შორის – მაშინ შეიძლება ორივე

შენობის მფლობელებისათვის რჩევის მიცემა, გამოიყენონ რაიმე სხვა დაცვის თანამედროვე მეთოდები, გარედან შემოღწევის აღსაკვეთად. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საკვლევი შენობის ორივე გვერდითა კედლის ნაწილი, რომლებიც ჩანს როგორც ჯორბენაძის ქუჩიდან, ასევე მდინარის მხრიდან, დღეისათვის შელესილია და შეღებილია მდინარის მხრიდან ფასადის კედლის ანალიგიურად (ნათელი ტონი) – ამ დროს როცა პრაქტიკულად ყველა ასეთი გვერდითა კედლები, ძველი თბილისის ყველა უბანში, ყოველთვის იყო გაულესავი და სრულდებოდა სუფთა წყობით, უფრო ხშირად აგურით, იშვიათად ქვით. იმდენად რამდენადაც საკვლევი შენობის მზიდი კედლები შესრულებულია რუხი ფერის ბეტონის ბლოკებისაგან – შეიძლება რეკომენდაცია მიეცეს შენობის მფლობელებს, შეღებონ გვერდითა კედლების ხილული ნაწილი, აგურის ფერად (ტერაკოტა).



ასევე რეკომენდაციის სახით საჭიროა ჩატარდეს, ჯორბენაძის ქუჩის მხრიდან, საკვლევი შენობის და მეზობელი №9-ა შენობის სახურავიდან ატმოსფერული ნალექების წყალსადინარების რევიზია – რადგან ქუჩის მხრიდან ჩვენი საკვლევი შენობის ფასადზე და ინტერიერში აშკარად ჩანს მშრალ ამინდშიც კი გაჟონვის კვალი.

ერთიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ახალი აშენებული სასტუმროს შენობა არ წარმოადგენს უცხო მოცულობას "მეტეხის წარბის" ტრადიციულ განაშენიანებაში - როგორც ურბანული თვალსაზრისით, ასევე ცალკეული არქიტექტურული ელემენტების თვალსაზრისით.

არქიტექტორი - ალა პროზოროვა
2017. 05

+995 599968130
allaprozorova@yahoo.com